

დამტკიცებულია სს მისო „ქართული კრედიტის“  
N02/23 აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება

მისო „ქართული კრედიტი“

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

2023

## სარჩევი

მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. საფირმო სახელწოდება, საზოგადოების იურიდიული მისამართი.....	3
მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი .....	3
მუხლი 3. საზოგადოების კაპიტალი. აქციათა ემისია .....	3
მუხლი 4. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები .....	4
მუხლი 5. წილის გაყიდვა.....	5
მუხლი 7. საერთო კრება .....	6
მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია .....	8
მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო .....	8
მუხლი 11. ხელმძღვანელი ორგანო -დირექტორები .....	10
მუხლი 12. საზოგადოების აუდიტის კომიტეტი.....	11
მუხლი 13. წლიური ანგარიში და მოგების განაწილება.....	12
მუხლი 14. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია .....	12
მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი.....	12
მუხლი 16. სხვა პირობები .....	12

## სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“

**მუხლი 1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. საფირმო სახელწოდება, საზოგადოების იურიდიული მისამართი**

1. სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „საზოგადოება“) აქციონერებს, წინამდებარე წესდებით და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად სურთ მოაწესრიგონ მათი, როგორც საზოგადოების აქციონერების ურთიერთობის ძირითადი ასპექტები.
2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება.
3. საზოგადოების აქვს საფირმო სახელწოდება:
  - ქართულად: **სს მისო „ქართული კრედიტი“**
  - შემოკლებით: **ქართული კრედიტი**
  - ინგლისურად: **JSC MFO „Georgian Credit“**
  - შემოკლებით: **GC**
4. საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ქუჩა სანდრო ეულის, N5-ის მიმდებარე; ქალაქი თბილისი, ქუჩა სანდრო ეული, N7; ქალაქი თბილისი, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი 5, ქუჩა სანდრო ეულის N5 (ნაკვეთი 07/029), სართული N3, კომერციული N3, 0186 თბილისი. საქართველო.
5. საზოგადოების ელექტრონული საფოსტო მისამართი: [info@geocredit.ge](mailto:info@geocredit.ge)
6. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის.
7. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
8. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი.

**მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი**

1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.
2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის ფარგლებში სესხების გაცემა და სხვა სამეწარმეო საქმიანობა საფინანსო სექტორში, რომელიც ნებადართულია ლიცენზიისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით.
3. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. საზოგადოება დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებებს. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამ წესდებით. ამასთან, მე-6 მუხლით განსაზღვრული ორგანოები, საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

**მუხლი 3. საზოგადოების კაპიტალი. აქციათა ემისია**

1. საზოგადოების ნებადართული კაპიტალი შეადგენს 20 000 0000 (ოც მილიონ) ლარს.
2. საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივ აქციებად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 (ერთი) ლარი.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასების გარდა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოებამ შესაძლებელია გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების გამოშვება. ასევე საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშავს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სახის ფასიანი ქალაქი რომლებიც აქციებად კონვერტირებადი.
4. ჩვეულებრივი აქციების ემისიის შემთხვევაში, თითოეულ აქციონერს უფლება აქვს შეისყიდოს (იგივე პირობებით, როგორც ყველა სხვა მყიდველს) გამოშვებული აქციების ის პროცენტული წილი, რომელიც ტოლია მის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობა გაყოფილი გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობაზე - პრო რატა, თუ აქციონერთა საერთო კრების, გადაწყვეტილებით უპირატესი შესყიდვის უფლება არ იქნება გაუქმებული.

5. აქციონერებს არ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება შემდეგ აქციებთან მიმართებაში:

ა) ნებისმიერი აქცია, რომელიც გამოშვებულია გარკვეული მიზნობრივი ოფციით ან სხვა საკომპენსაციო არგუმენტით საერთო კრების გადაწყვეტილების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის დროსაც აქციები გადაეცემათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს, დასაქმებულებს ან საზოგადოების კონსულტანტებს, ან

ბ) ნებისმიერი აქცია, რომელიც გამოშვებულია შერწყმის/შესყიდვის ან/და ნებისმიერი სხვა ტრანზაქციისათვის, რომლის პირობებები დამტკიცებულია საერთო კრების მიერ.

6. ახალი აქციების ემისიისას, საზოგადოებამ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 (ერთი) პროცენტის მფლობელ აქციონერებს დაზღვეული წერილით უნდა შეატყობინოს. დანარჩენ აქციონერებს – დაზღვეული წერილით ან შესაბამისი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან მარეგისტრირებელი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით. ეს შეტყობინება უნდა შეიცავდეს ემისიის ყველა მიზეზს და პირობას. აქციონერებმა, რომელთაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეიძინონ შეტყობინების შესაბამისი პირისთვის ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ უპირატესი შესყიდვის უფლება ჩაითვლება გაუქმებულად.

7. აქციათა საბოლოო გადანაწილება ხდება აქციონერებისთვის აღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან 14 (თოთხმეტი) დღის შემდეგ. აქციონერებს, რომლებმაც ისარგებლეს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებით გადახდის განსახორციელებლად აქვთ მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) დღე.

8. თუ აქციონერი უარს იტყვის ტრანზაქციის განხორციელებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, იგი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაუხადოს საზოგადოებას მის მიერ უარყოფილი ტრანზაქციის ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტი. იმ შემთხვევაში თუ აქციონერი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე, საზოგადოება უფლებამოსილია მოთხოვნა დაიკმაყოფილოს აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციების ხარჯზე ტრანზაქციის ფასში.

9. საზოგადოებას შეუძლია გამოისყიდოს საკუთარი აქციები, აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების ემისიით საზოგადოების კაპიტალის გაზრდისას საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია კაპიტალი მთვლიანად ან ნაწილობრივ გაზარდოს აქციონერთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე ახალი აქციების გამოცემის გზით. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ასეთი ცვლილების საფუძველი, წესი და შესაბამისი ოდენობა. ეს გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განსათავსებელი ან გასაუქმებელი აქციების რაოდენობის, აგრეთვე მათი ნომინალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას.

11. საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

#### **მუხლი 4. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები**

1. აქციონერი ვალდებულია:

ა) განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;

ბ) საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში;

გ) შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.

2. აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. დივიდენდის განაწილების შესახებ (რაოდენობა, პერიოდულობა) გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

3. აქციონერები თავიანთ ხმის უფლებას ახორციელებენ საერთო კრებაზე. აქციონერი უფლებამოსილია, საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.

4. საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერს უფლება აქვს კითხვები დაუსვას ხელმძღვანელ ორგანოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის. საერთო კრების მიმდინარეობისას, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერთა შეკითხვებს უპასუხოს და მათ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.

5. აქციონერს შეუძლია თავისი ხმის უფლება გამოიყენოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას.

6. აქციონერებს, რომლებსაც აქვთ ხმების არანაკლებ (ხუთი) პროცენტი უფლება აქვთ:

- ა) საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე;
- ბ) მოითხოვონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;
- გ) კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;
- დ) მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება წინამდებარე წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით.

7. თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ ასეთი სარჩელის აღძვრის მოთხოვნით საზოგადოებისადმი მიმართვიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში საზოგადოება არ აღძრავს სარჩელს ან ვერ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

**მუხლი 5. წილის გაყიდვა**

1. თუ რომელიმე აქციონერს სურს გაყიდოს, გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს მისი წილი, ნაწილობრივ ან სრულად ყველა აქცია (ასეთ მხარეს ეწოდება „გამყიდველი“), სხვა აქციონერებს (მათ ეწოდებათ „წინადადების მიმღებები“) ექნებათ ამ წილის (შემდგომში „შეთავაზებული აქციები“) შესყიდვის უპირატესი უფლება.

2. „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს თითოეულ აქციონერს („წინადადების მიმღებებს“) მისი განზრახვის შესახებ - გაყიდოს მისი წილი სრულად ან ნაწილობრივ. შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, დასაშვებია ელფოსტითაც. ზემოაღნიშნული შეტყობინება („გამყიდვის შეტყობინება“) მოიცავს:

- ა) აქციების რაოდენობას, რომელსაც ფლობს გამყიდველი;
- ბ) შეთავაზებული აქციების რაოდენობას, სახეობას, ფასს, გაყიდვის პირობებსა და ინფორმაციას მყიდველის შესახებ;
- გ) ხელშეკრულება (შეთანხმება, შეთავაზება, მემორანდუმი და ა.შ.) პოტენციურ მყიდველთან აქციათა ნასყიდობის თაობაზე.

3. „წინადადების მიმღებებს“ შეუძლიათ გაყიდვის შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში პირადად გადასცენ ან გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება (დასაშვებია ელ-ფოსტით) მყიდველს. ამ შეტყობინებაში („ყიდვის შეტყობინება“) აღნიშნული უნდა იყოს, რომ წინადადების მიმღებებს სურთ შეისყიდონ შეთავაზებული აქციები მათი წილის პროპორციულად, ან რომ მათ არ სურთ აქციების შესყიდვა. თუ წინადადების მიმღები „ყიდვის შეტყობინებას“ არ გააგზავნის, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი განაცხადა

„შეთავაზებული აქციების“ შესყიდვაზე. საზოგადოება ვალდებულია, აცნობოს „წინადადების მიმღებებს“, რომლებმაც თანხმობა გამოხატეს „ყიდვის შეტყობინების“ მიღებაზე (შემდგომში „აქცეპტანტი“) და შესთავაზოს ის აქციები, რომლებიც არ იქნა შესყიდული დანარჩენი აქციონერების მიერ. თითოეული „აქცეპტანტი“ უფლებამოსილია შესყიდოს დარჩენილი აქციები, კვლავ წილთა პროპორციულობის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოოდ, „ყიდვის შეტყობინება“ უნდა შეიცავდეს იმ აქციათა რაოდენობას, რომლის შეძენაც სურთ აქცეპტანტებს, თავდაპირველ ყიდვის შეტყობინებაში დაფიქსირებული რაოდენობის დამატებით, „გამყიდვის შეტყობინების“ პირობების შესაბამისად.

4. „შეთავაზებული აქციების“ ალოკაციის შემდეგ („გამყიდვის შეტყობინების“ მიღებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ) მხარეები ტრანზაქციის დასასრულებლად შეთანხმდებიან გონივრულ ვადაზე. აღნიშნული ვადა უნდა იყოს არაუმეტეს 2 (ორი) თვისა აქციათა ალოკაციის დღიდან.

5. თუ „აქცეპტანტი“ უარს იტყვის გარიგების დასრულებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, მას ჯარიმის სახით დაეკისრება „გამყიდველისათვის“ მის მიერ უარყოფილი გარიგების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის გადახდა. იმ შემთხვევაში თუ, „გამყიდველი“ უარს იტყვის გარიგებაზე ან გარიგების დასრულებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, მას დაეკისრება „აქცეპტანტ(ებ)ისთვის“ ჯარიმის სახით 5 (ხუთი) პროცენტის გადახდა. ამასთან, „გამყიდველს“ შეეზღუდება 1 (ერთი) წლის განმავლობაში აქციათა გასხვისება უფრო მაღალ ფასში.

6. თუ „წინადადების მიმღებნი“ ამ წესდების დებულებების შესაბამისად არ შეისყიდიან „შეთავაზებულ აქციებს“, მაშინ გამყიდველი უფლებამოსილია მიყიდოს შეთავაზებული წილი პოტენციურ მყიდველს, რომელიც მან წარმოადგინა თავდაპირველად, იმ ფასად ან იმაზე მეტად და იმ პირობებით, რომელიც „გამყიდვის შეტყობინებაში“ იყო მითითებული. თუ „გამყიდველი“ შეცვლის პოტენციურ მყიდველს ან გარიგების რაიმე პირობას, ის ვალდებულია განახორციელოს ხელახალი შეთავაზება. თუ უკანასკნელი

ყიდვის შეტყობინების მიღებიდან, სადაც მითითებულია, რომ წინადადების მიმღები უარს ამბობს შეთავაზებული აქციების შესყიდვაზე, 60 (სამოცი) დღის განმავლობაში გამყიდველმა ვერ მიიღო პოტენციური მყიდველისაგან აქციების შესყიდვის უპირობო წინადადება და ვერ დაასრულა გარეშე პირზე შეთავაზებული აქციების მიყიდვის ოპერაცია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან რეგისტრაციის ჩათვლით, მაშინ წინადადების მიმღებთა უფლებები შეთავაზებულ აქციებთან მიმართებაში კვლავ განახლდება და თუ, გამყიდველს ისევ სურს გაყიდოს აქციები, ის კვლავ აგზავნის გაყიდვის შეტყობინებას 2 პუნქტის შესაბამისად და ა.შ. გარიგების დადებამდე და ტრანზაქციის დასრულებამდე.

7. შეთავაზება აქციების შესყიდვის თაობაზე ნებისმიერი პირისაგან, რომელიც არ არის აქციონერი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მესამე პირი“) უნდა შეიცავდეს პირობებს, რომ იგი თანახმაა გახდეს აქციონერი წინამდებარე წესდების შესაბამისად.

8. თუ არსებობს შემთავაზება საზოგადოების კაპიტალის 75 (სამოცდათხუთმეტი) პროცენტზე მეტის შეძენის თაობაზე და აქციონერებს, რომლებიც ფლობენ კუმულაციურად 66.67 (სამოცდაექვსი მთელი და სამოცდაშვიდი) პროცენტს სურთ შეთავაზების მიღება, უმცირესობაში მყოფი აქციონერები ვალდებული არიან შეუერთდნენ გარიგებას. უმცირესობაში მყოფ აქციონერებს უნდა შესთავაზონ იგივე ფასი და პირობები (თუ არსებობს რამოდენიმე მინორიტარი, ისინი ვალდებული არიან გარიგებას შეუერთდებიან მათი წილის პროპორციულად). უმცირესობაში მყოფ აქციონერებს, რომელთაც არ სურთ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა, აქვთ გასაყიდი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მიღებული შეთავაზების პირობების შესაბამისად.

9. თუ ერთმა ან რამდენიმე აქციონერმა მიიღო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტის ყიდვის შეთავაზება, უმცირესობაში მყოფი აქციონერები უფლებამოსილნი არიან შეუერთდნენ გარიგებას აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. თუ პოტენციური მყიდველი არ იქნება თანახმა, სრულად შეისყიდოს შეთავაზებული აქციები, აქციონერ(ებ)ი (რომელთაც სურთ წილის გაყიდვა) ვალდებული არიან გაყიდონ აქციები *pari passu* პირობით.

## **მუხლი 6. საზოგადოების ორგანოები**

### **1. საზოგადოების ორგანოებია:**

- საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- ხელმძღვანელი ორგანო

2. საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

## **მუხლი 7. საერთო კრება**

1. საერთო კრებას იწვევს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო.

2. საერთო კრებას იწვევს ხელმძღვანელი ორგანო ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ მაინც, გარე აუდიტის დასრულებიდან არუგვიანეს 3 (სამი) თვისა. თუ ხელმძღვანელი ორგანო არ შეასრულებს საერთო კრების მოწვევის მოვალეობას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.

3. კაპიტალის სულ მცირე 5 (ხუთი) პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით მიმართოს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი წესდებით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები.

5. ხელმძღვანელმა ორგანომ შეთავაზებული საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია განცხადების წარდგენის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას. საჭიროების შემთხვევაში, ამ წესდებით გათვალისწინებული გამოქვეყნების წესები ვრცელდება საერთო კრების დღის

- წესრიგში შეტანილ ცვლილებებზე და აქციონერთა მიერ წარდგენილი მისაღები გადაწყვეტილების პროექტზე.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის სულ მცირე 5 (ხუთი) პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.
7. აქციონერის/აქციონერების წერილობითი მოთხოვნა საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა შეიცავდეს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობას, მიზანს და მიზეზს, დღის წესრიგის ჩათვლით, სადაც ასახული იქნება აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.
8. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა საორგანიზაციო საკითხი.
9. გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე და საერთო კრების შესახებ ეცნობოს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე.
10. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის სულ მცირე 10 (ათი) დღიანი შუალედი უნდა იყოს.
11. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.
12. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.
13. საერთო კრება ტარდება აქციონერის ან მისი წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის ფორმით. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადად დასაბუთებული დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.
14. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.
15. საერთო კრების ჩატარებამდე აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება და წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებული ხმათა რაოდენობის დასტური. უფლებამოსილების შემოწმების პროცედურის აღწერა თან დაერთვის კრების მოწვევის შეტყობინებას.
16. ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.
17. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.
18. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.
19. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – აღმასრულებელი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
20. საერთო კრების გახსნამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია. აქციონერმა, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, კვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

21.საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე მონაწილეობს ან წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მასში მონაწილეობენ ან წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 25%-ის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

თუ საერთო კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგითა და ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის მქონე აქციონერების (აქციონერის) რაოდენობის მიუხედავად.

## **მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია**

1. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა/შემცირების და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;

დ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება;

ე) მიიღოს ან უარყოს ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან დანიშნოს/გაათავისუფლოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

ზ) დაამტკიცოს აღმასრულებელი დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) აირჩიოს გარე აუდიტორი;

ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, განკარგვის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

2. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 51%-ის მფლობელი აქციონერების თანხმობით.

3. საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საზოგადოების აქციათა რეესტრში რეგისტრირებული ხმის უფლების მქონე აქციების 2/3-ის მფლობელ აქციონერთა თანხმობა. წესდების ამ კონკრეტულ მუხლში ცვლილებების შეტანისთვის საჭიროს საზოგადოების აქციათა რეესტრში რეგისტრირებული ხმის უფლების მქონე აქციების 2/3-ის მფლობელ აქციონერთა თანხმობაა.

## **მუხლი 9. სამეთვალყურეო საბჭო**

1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი და არაუმეტეს შვიდი წევრისგან.

2. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს საერთო კრება ირჩევს არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. ამასთანავე ერთი და იმავე პირის ხელახალი არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩევა ახალი წევრი, საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაკლებია წესდებით განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე. სასამართლოს მიერ დანიშნულ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს



უფლებამოსილება უწყდება სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის კანონით დადგენილი წესით არჩევისთანავე.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინების ჩათვლით), სულ ცოტა 10 (ათი) (კალენდარული) დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

8. თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია თავად მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამ ოქმის სიზუსტეზე, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

10. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუკი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანი არ არის, მისი სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანი იქნება წევრთა რაოდენობის მიუხედავად. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და სხდომის თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას.

11. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს საზოგადოების ვებგვერდზე.

## **მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია**

### **1. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციები:**

ა) კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;

ბ) ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიშის წარდგენა;

გ) შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის ფინანსური ჩანაწერები და აქტივები, კერძოდ, კომპანიის სახსრების, ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობა; შეუძლია ეს გადასცეს ცალკეულ წევრებს ან დანიშნულ ექსპერტებს;

დ) იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე) ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას;

ვ) ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს და დირექტორებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დებს და წყვეტს მათთან ხელშეკრულებებს.

### **2. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:**

ა) ხელმძღვანელი ორგანოს მოვალეობების განაწილება მის ცალკეულ წევრებზე;

ბ) ყველა მატერიალური გარიგება საზოგადოებასა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის, თუ ეს უკანასკნელი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სულ მცირე 5 (ხუთი) პროცენტის და ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს შორის;

- გ) ყველა გარიგება რომლის დროსაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ხელმძღვანელი ორგანოს წევრებთან;
- დ) ყველა გარიგება რომლის დროსაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან;
- ე) საქმიანობა დაკავშირებული საწარმოთა შექმნასთან;
- ვ) საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრების, შიდა აუდიტორისა და პროკურისტების დანიშვნა და განთავისუფლება;
- ზ) უძრავ/მოძრავი ქონების შექმნა და გასხვისება, რომელთა ფასიც აღემატება 200 000 აშშ დოლარს ან სხვა გარიგებები და აქტები, რომლებიც მატერიალური მნიშვნელობისაა. გარიგება ან აქტი მიიჩნევა მატერიალური მნიშვნელობის მქონედ, თუ მათი ღირებულება აღემატება 200 000 აშშ დოლარს;
- თ) სესხის ან სხვა ვალდებულებების აღება ერთი ან რამდენიმე ოპერაციის სახით, რომელთა ოდენობაც აღემატება ოთხ მილიონ აშშ დოლარს და ამ გარიგების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი აქტივის (მათ შორის, სასესხო პორტფელის, ფულადი სახსრების, უძრავი ქონების და სხვა) დაგირავება;
- ი) ყველა სხვა ქმედება, რომელიც საჭიროებს დამტკიცებას კანონით, საზოგადოების წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს ნორმატიული აქტებით;
- კ) წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- ლ) ბიზნეს სტრატეგიის შეცვლა;
- მ) საზოგადოების აქციების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება;
- ნ) ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრა;
- ო) ხელმძღვანელი ორგანოს წევრთათვის და სხვა ძირითადი თანამშრომლებისათვის საბონუსე სისტემის განსაზღვრა;
- პ) გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს საკონმდებლობის მიხედვით, მოითხოვენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას.

**მუხლი 11. ხელმძღვანელი ორგანო -დირექტორები**

1. დირექტორი/დირექტორები ქმნიან ხელმძღვანელ ორგანოს. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო საზოგადოებას მართავს საკუთარი პასუხისმგებლობით.
2. აღმასრულებელი დირექტორი არის ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე. თავმჯდომარე არის ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას, უძღვება სხდომებს და ზედამხედველობს ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების სათანადო შესრულებას მათთვის დაკისრებულ მოვალეობებთან დაკავშირებით.
3. ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს ან/და საერთო კრების კომპეტენციას. ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და იურიდიული მისამართის შეცვლასთან დაკავშირებით და დაარეგისტრიროს ცვლილებები რეესტრში.
4. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.
5. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.
6. ხელმძღვანელი ორგანოს სხდომის მოწვევა უნდა განხორციელდეს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის - აღმასრულებელი დირექტორის მიერ წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინება), არანაკლებ 5 დღით ადრე, შემოთავაზებული დღის წესრიგით.
7. ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის - აღმასრულებელი დირექტორის ხმა.
8. ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრი ანგარიშვალდებულია არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
9. დირექტორი/დირექტორები ერთგულად და გულმოდგინედ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს. თუ ისინი არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ისინი პასუხისმგებელნი იქნებიან კომპანიის წინაშე.
10. საზოგადოების დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.
11. საზოგადოებას შესაძლებელია ჰყავს რამოდენიმე დირექტორი, რომლებიც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ საზოგადოებას წინამდებარე წესდებით

გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

12. დირექტორთა ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მაქსიმუმ 3 (სამი) წლით, ხოლო დირექტორის/აღმასრულებელი დირექტორის ხელახალი დანიშვნა შეზღუდული არ არის.

13. აღმასრულებელ დირექტორს აქვს ყველა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, გარდა იმ უფლებამოსილებისა, რომლებიც ამ წესდების მიხედვით განეკუთვნება მხოლოდ საერთო კრების ან/და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

14. აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) უხელმძღვანელოს ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს, კოორდინაცია გაუწიოს ხელმძღვანელი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას, გაანაწილოს ფუნქციები ხელმძღვანელი ორგანოს და ხელმძღვანელ პირებს შორის და ამ მიზნით, გამოსცეს ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა მითითებები;

ბ) დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით (სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

გ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს რეკომენდაციები საზოგადოების მიერ დასაქმებულების პრემიით წახალისებისა და ანაზღაურების თაობაზე;

დ) დასაქმებულთა დანიშნა და განთავისუფლება;

ე) აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც აუცილებელი საზოგადოების მიზნების მისაღწევად, გარდა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დაკისრებული ფუნქციებისა.

15. აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია თავისი უშუალო დავალებები გადასცეს მმართველი ორგანოს წევრებს ან შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

## **მუხლი 12. საზოგადოების აუდიტის კომიტეტი**

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება არანაკლებ 2 (ორი) წევრისგან. აქედან სულ მცირე 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრისგან. დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც საზოგადოებასთან სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის, მათ შორის, არ ფლობს ამ საწარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.

2. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.

3. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტურობას;

გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელება;

დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

4. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას შესრულებული აუდიტის შედეგების, აუდიტის გავლენის შესახებ ფინანსური ანგარიშგების სანდოობაზე და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის ჩართულობის შესახებ.

5. აუდიტის კომიტეტი გამოსცემს რეკომენდაციებს ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისა და საერთო კრების მიერ შესარჩევი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ.

6. აუდიტის კომიტეტი იკრიბება პერიოდულად, რამდენჯერაც ეს აუცილებელია მისი მოვალეობების სათანადო შესრულებისთვის და გადაწყვეტილება უნარიანია თუ ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. აუდიტის კომიტეტს თავმჯდომარეობს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.

7. აუდიტის კომიტეტი რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც, ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავისი საქმიანობის შესახებ.

6. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დაუყოვნებლივ ატყობინებს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

### **მუხლი 13. წლიური ანგარიში და მოგების განაწილება**

1. ხელმძღვანელი ორგანო ამზადებს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მმართველობის ანგარიშს და წინადადებას წმინდა მოგების განაწილების შესახებ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს წინადადება წმინდა მოგების განაწილების შესახებ.
2. თუ ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, ისინი წმინდა მოგების განაწილების წინადადებას წარუდგენენ საერთო კრებას. თუ საერთო კრება გადაწყვეტს მთლიანი წმინდა მოგება შეიძლება დარჩეს კომპანიას და ჩაითვალოს ახალ ანგარიშში.
3. თუ წლის ბოლოს, წლიური შედეგების მიხედვით საზოგადოების წლიური შემოსავლები არასაკმარისია ხარჯების დასაფარად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს ზარალის თაობაზე. აღნიშნული ზარალი გადაიხდება საზოგადოების ფონდებიდან და გაუნაწილებელი შემოსავლებიდან. თუ აღნიშნული ფონდები და გაუნაწილებელი შემოსავლები არასაკმარისია, ზარალი გადავა შემდგომი ფინანსური წლისათვის.
4. არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია.
5. აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

### **მუხლი 14. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია**

1. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.
2. ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლიკვიდაციის პროცესში ეს წესდება, შემლებისდაგვარად, ძალაში რჩება. საზოგადოების აქტივების ნაშთი, ყველა დავალიანებისა და ლიკვიდაციის ხარჯების გადახდის შემდეგ ნაწილდება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შორის, მათ მიერ მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ოდენობის პროპორციულად.
3. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

### **მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი**

საზოგადოების აქციონერებს შორის საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

### **მუხლი 16. სხვა პირობები**

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.
2. წინამდებარე წესდება შესასრულებლად სავალდებულოა საზოგადოების აქციონერებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლების, უფლებამონაცვლეებისა და უფლებამოსილი კრედიტორებისათვის.
3. წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ ნორმებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. ამ წესდების რომელიმე დათქმ(ებ)ის ბათილობა არ იქონიებს გავლენას წესდების სხვა დებულებ(ებ)ის ნამდვილობაზე.
4. წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე \_\_\_\_\_

